ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4229954

ნომერი: AR1638571

თარიღი : 18.10.2018

გაცემის თარიღი : 23.10.2018

გაცნობის თარიღი : 23.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი IV;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯაფარიძე პ/ნ 01009008406
- რატევანის ქ. 15

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 18 ოქტომბრის # AR1638571 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ., IV მიკრო/რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.01.001.188) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე (დანართი №4) კომპლექსური კვლევისა და მის საფუძველზე „ჩარჩო გეგმის” შემუშავებამდე 6 თვის ვადით შეიზღუდა მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობე-ბის დამტკიცება, არქიტექ-ტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა).

აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, ასევე, იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა, ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება წინამდებარე ნორმის ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის არეალში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.